საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

05 11 2021 წ. №202

ქ. თბილისი

წარმოებაში ჩაშვებულ/ჩასაშვებ ფილმებზე თანხის დამატების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლებისა და სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და „სსიპ-საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის” დებულების მე-3 მუხლის მე-11, მე-12, მე-13 და მე-14 პუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1.დამტკიცდეს თანდართული „წარმოებაში ჩაშვებულ/ჩასაშვებ ფილმებზე თანხის დამატების წესი და პირობები”.

2. გაუქმებულად ჩაითვალოს „წარმოებაში ჩაშვებულ ფილმებზე თანხის დამატების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 26.01.2017 წლის №26 ბრძანებით დამტკიცებული „წარმოებაში ჩაშვებულ ფილმებზე თანხის დამატების წესი და პირობები”.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს კინოცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორი

გაგა ჩხეიძე

ვამტკიცებ
საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრის დირექტორი
/გაგა ჩხეიძე/

წარმოებაში ჩაშვებულ/ ჩასაშვებ ფილმებზე თანხის დამატების წესი და პირობები

პუნქტი 1. საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდეგში – კინოცენტრი) მიერ წარმოებაში ჩაშვებულ/ჩასაშვებ ფილმებზე თანხის დამატების წესი და პირობები შეეხება საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ბიუჯეტიდან დაფინანსებულ დაუმთავრებელ ფილმზე დამატებითი თანხის გაცემას ან საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ბიუჯეტიდან დაფინანსებულ წარმოებაში ჩასაშვებ ფილმზე დამატებითი თანხის გაცემას.

პუნქტი 2. თანხის დამატების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სსიპ-საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისია.

პუნქტი 3. წარმოებაში ჩაშვებული ფილმის პროდიუსერი კინოცენტრს თანხის დამატების თაობაზე განცხადებით მიმართავს: თუ ფილმის დასრულებას საფრთხე ექმნება და ყველა შესაძლო გზა და საშუალება დამატებითი თანხების მოძიების თაობაზე ამოწურულია, მოთხოვნისათვის არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი და წარმოდგენილი აქვს კინოცენტრიდან მიღებული დაფინანსების გახარჯვის დოკუმენტაცია. პროდიუსერი ვალდებულია დამატებითი თანხების მოძიებაზე უარის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში) წარმოადგინოს კინოცენტრში.

პუნქტი 4. წარმოებაში ჩასაშვები ფილმის პროდიუსერი კინოცენტრს განცხადებით მიმართავს თანხის დამატების თხოვნით, თუ არსებობს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის (შემდგომ: მინისტრი) შესაბამისი რეკომენდაცია. წარმოებაში ჩასაშვებ ფილმზე თანხის დამატების რეკომენდაციის გაცემის თხოვნით მინისტრს შესაძლებელია მიმართოს ფილმის პროდიუსერმა ან ფილმის პროდიუსერის შუამდგომლობის საფუძველზე - კინოცენტრმა.

პუნქტი 5. წარმოებაში ჩაშვებულ ფილმს თანხა შეიძლება დაემატოს, თუ ფილმის დაუსრულებლობა გამოწვეულია: ფინანსური დანაკარგებით, ფორს-მაჟორული გარემოებებით, ფირის ან/და აპარატურის დაზიანებით ან სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლით.

პუნქტი 6. წარმოებაში ჩასაშვებ ფილმს თანხა შეიძლება დაემატოს იმ შემთხვევაში, თუ კინოცენტრის წარმოების კონკურსში გამარჯვებული ფილმის პროდიუსერს გამოეყოფა იმაზე ნაკლები თანხა, ვიდრე პროდიუსერის მიერ წარმოების დაფინანსების კონკურსში წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი ითვალისწინებდა და ამ მიზეზით ფილმის წარმოების დაწყება ვერ მოხერხდა.

პუნქტი 7. თანხის დამატების დროს „კინოცენტრი" ითვალისწინებს „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის თანახმად სახელმწიფო დაფინანსების წილი ეროვნული ფილმის წარმოებაში არ უნდა აღემატებოდეს ფილმის საერთო ხარჯთაღრიცხვის 75%-ს, კინოცენტრიდან მიღებული დაფინანსება და დამატებით მოთხოვნილი თანხის ჯამი არ უნდა აჭარბებდეს ფილმის საერთო ხარჯთაღრიცხვის 75%-ს.

პუნქტი 8. წარმოებაში ჩაშვებული ფილმისთვის თანხის დამატების მოთხოვნისთვის პროდიუსერმა უნდა წარმოადგინოს კინოცენტრში:
ა)წერილობითი განცხადება კინოცენტრის დირექტორის სახელზე, სადაც მითითებული იქნება თანხის მოთხოვნის მიზეზი და არგუმენტაცია;
ბ)დამატებით მოთხოვნილ თანხაზე ხარჯთაღრიცხვა;

პუნქტი 9. წარმოებაში ჩასაშვები ფილმისთვის თანხის დამატების მოთხოვნისთვის პროდიუსერმა უნდა წარმოადგინოს კინოცენტრში: მინისტრის შესაბამისი რეკომენდაცია და მე-8 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტები.

პუნქტი 10. თანხის დამატების თაობაზე პროდიუსერის განაცხადი არ გადაეცემა საექსპერტო კომისიას განსახილველად:
ა) თუ ფილმის პროექტი არ აკმაყოფილებს წინამდებარე წესის მე-5, მე-6, მე-8 და მე-9 პუნქტების მოთხოვნებს;
ბ) თუ დამატებითი თანხის ფონდი ამოწურულია;
გ)თუ წარმოებაში ჩაშვებული ფილმის პროდიუსერს არა აქვს წარმოდგენილი კინოცენტრიდან მიღებული დაფინანსების გახარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

პუნქტი 11. პროდიუსერს უფლება აქვს შემოიტანოს განაცხადი კინოცენტრში კალენდარული წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს.

პუნქტი 12. კინოცენტრი პროდიუსერთა განაცხადებს თანხის დამატების თაობაზე განიხილავს მიმდინარე წლის განმავლობაში.

პუნქტი 13. საექსპერტო კომისია გადაწყვეტილებას თანხის დამატების ან თანხის დამატებაზე უარის შესახებ იღებს სსიპ-საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული წესით.

პუნქტი 14. კინოცენტრი იმ შემთხვევაში იწვევს თანხის დამატების თაობაზე საექსპერტო კომისიას, თუ კინოცენტრის ბიუჯეტით განსაზღვრულია შესაბამისი თანხა.